

# კოლეჯი თეთნულდი

სტრატეგია 2020 - 2026



## სტრატეგიული გეგმა 2020 – 2026

### პროფესიული კოლეჯი თეთნულდი



საქართველო, მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქ. № 25



577582424/595277667



[retmuldi68@gmail.com](mailto:retmuldi68@gmail.com)



<http://retmuldi.edu.ge/>

# სარჩევი

<b>1. შესავალი</b> .....	<b>4</b>
1.1. სახწავლებლის ისტორია.....	4
<b>2. მისიის განაცხადი</b> .....	<b>7</b>
2.1. ხედვა და მისია.....	7
2.2. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები.....	7
2.3. სამუშაო პრინციპები და ფასეულობა.....	7
<b>3. სამოქმედო გარემოსა და ორგანიზაციის ანალიზი</b> .....	<b>10</b>
3.1. გარემოს დახასიათება (შესაძლებლობა და საფრთხე).....	10
3.2. ორგანიზაციის შეფასება (ძლიერი და სუსტი მხარე).....	13
<b>4. საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები</b> .....	<b>21</b>
4.1. არხეზული სახწავლო პროგრამების განხორციელება და ახალი პროგრამების განვითარება.....	21
სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე.....	21
სტრატეგიული მიზანი.....	21
წარმატების ინდიკატორები.....	21
ძირითადი ღონისძიებები.....	22
4.2. სტუდენტებისა და მსმენელების დაინტერესება და მოზიდვა.....	26
სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე.....	26
სტრატეგიული მიზანი.....	26
წარმატების ინდიკატორები.....	26
ძირითადი ღონისძიებები.....	26
4.3. კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა.....	28
სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე.....	28
სტრატეგიული მიზანი.....	28
წარმატების ინდიკატორები.....	28
ძირითადი ღონისძიებები.....	28
4.4. მართვის, ადამიანური კაპიტალისა და ფიზიკური რესურსების განვითარება.....	30
სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე.....	30
სტრატეგიული მიზნები.....	30
წარმატების ინდიკატორები.....	30
ძირითადი ღონისძიებები.....	31
<b>5. სამოქმედო გეგმა</b> .....	<b>34</b>
5.1. 2021 წლის ღონისძიებები.....	34
<b>6. დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცედურა</b> .....	<b>40</b>
6.1. პროცედურის მოქმედების არე.....	40
6.2. პროცედურის მიზანი.....	40
6.3. ძირითადი ნაბიჯები და გადაწყვეტილებები.....	40
6.4. დოკუმენტაცია.....	41
6.5. მონიტორინგის სისტემა.....	43
<b>7. დანართი</b> .....	<b>46</b>

## 1. შესავალი

### 1.1. სასწავლებლის ისტორია

კოლეჯი „თეთნულდი“ მდებარეობს საქართველოს ულამაზეს კუთხეში - სვანეთში და არის ავტორიზებული პროფესიული სასწავლებელი, კოლეჯის სტატუსით დაარსდა 2011წ 6 მაისს. იგი არის სამართალმემკვიდრე მესტიის პროფესიული სწავლების ცენტრის, რომელიც დაფუძნდა 2006 წელს მესტიის პროფესიული ლიცეუმის ბაზაზე. კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების, კოლეჯის შინაგანაწესისა და წესდების შესაბამისად. კოლეჯი ახორციელებს III, IV, V დონის გრძელვადიან და მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ახორციელებს სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამებს.

კოლეჯის მიზანია: 2020-2027 წლებში პრიორიტეტული მიმართულების პროგრამების გამრავალფეროვნება და მესტიის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების ხელშეწყობა. პროფესიული კარიერის ხელშეწყობა, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდა, რეგიონის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, ამ მიზნით აუცილებელია პროფესიული კოლეჯის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება-გაფართოება, საგანმანათლებლო პროგრამების გაღრმავება და გავრცობა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და შევსება, სტუდენტებისთვის ცხოვრებისა და სწავლის პირობების გაუმჯობესება. პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ ერთდერთია მაღალმთიან საზღვრისპირა რეგიონში და მნიშვნელოვან მისიას შეასრულებს სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავალსაზრისით.

კოლეჯის ამოცანებია: კვალიფიციური, მაღალი სტანდარტის პროფესიული საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამების შემუშავება. შესაბამისი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, კვალიფიკაციების მინიჭება, მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების დამადასტურებელი სერტიფიკატების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი დიპლომის გაცემა, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

პროფესიული კოლეჯის საქმიანობის სფერო მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მათ შორის სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის,

რომლებისთვისაც თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით შექმნილია ადაპტირებული გარემო და საგანმანათლებლო პირობები.

- ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში ბაზრის საჭიროებების კვლევის კომპონენტის გაძლიერება ბაზრის რეალური საჭიროებების დადგენის მიზნით და დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების გათვალისწინება;
- სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით პედაგოგიურ პერსონალისთვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დამსაქმებელთა მონაწილეობის ხელშეწყობა, სწავლების თანამედროვე მეთოდების, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მუდმივი განახლებისათვის ზრუნვა სტანდარტების შესაბამისად;
- ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწრაფი გადასვლა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვა სხვადასხვა მიმართულებით.
- მოსახლეობისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელმისაწვდომობა (უწყვეტი განათლება).
- სწავლებიდან სამუშაოზე გადასვლის ხელშეწყობის პროცესი (ტრანზიცია).



## 2. მისიის განაცხადი

### 2.1. ხედვა და მისია

კოლეჯი თეთნულდი არის განვითარებაზე ორიენტირებული მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მოამზადოს სამეწარმეო და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და ამით ხელი შეუწყოს რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას/სტაბილურობას.

ხედვა: 2027 წლისთვის, რეგიონში შრომის ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად, ძალაზე არსებული დაკვეთის 80 % -ით დაკმაყოფილება.

### 2.2. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში კოლეჯი გეგმავს განხორციელოს საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით:


- არსებული სასწავლო პროგრამების განხორციელება და ახალი პროგრამების განვითარება;
- ახალგაზრდების დაინტერესება და მოზიდვა;
- კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა;
- მართვის, ადამიანური კაპიტალისა და ფიზიკური რესურსების განვითარება.

### 2.3. სამუშაო პრინციპები და ფასეულობა

მუშაობის პროცესში კოლეჯის სახელმძღვანელო პრინციპებია:

- პროფესიონალიზმი
- გუნდური მუშაობა
- განვითარებაზე ორიენტირება
- მოტივაცია
- კომუნიკაბელურობა
- მიზანდასახულობა

## N 1. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები





### 3. სამოქმედო გარემოსა და ორგანიზაციის ანალიზი

#### 3.1. გარემოს დახასიათება (შესაძლებლობა და საფრთხე)

სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა იმ გარემოებათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სტრატეგიის რეალიზაციას, და იმ გარემოებათა შესწავლის გზით, რომლებიც წარმოადგენენ შესაძლებლობას.

##### შესაძლებლობები:

- **საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.** ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპტიმიზაციის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს CISCO-ს აკადემიის ფარგლებში პროფესიულ დიპლომთან ერთად მიიღოს ზემოთ არნიშნული აკადემიის საერთაშორისო სერთიფიკატი.
- **აკადემიური პერსონალის გადამზადება თანამედროვე სწავლების და ტექნოლოგიების მეთოდის მიმართულებით.** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვა ორგანიზაციები მუდმივად ზრუნავენ პროფესიული განათლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ზოგადად, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების დონის გაუმჯობესებაზე. ამისათვის კოლეჯის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა გადამზადდეს თანამედროვე სწავლებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით.
- **სტუდენტური ღონისძიების მოწყობა.** სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, სტუდენტთა მოტივაციის და ინტერესის ამაღლების მიზნით, კოლეჯის ადმინისტრაცია საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩაერთონ ან დაესწრონ ადგილობრივ, თუ საერთაშორისო ღონისძიებებს.
- **პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადადგმული ნაბიჯებისა და გატარებული ღონისძიებების შედეგად, იზრდება პროფესიული განათლებისადმი ინტერესი, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის შეტანა, ასევე სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოვალეობიდან გათავისუფლება. ეს ყოველივე დადებითად აისახება პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რიცხვზე.

- **მხარდი მოთხოვნები ტურიზმისა და IT მიმართულების სფეროებში.** ტურიზმის და IT მიმართულების სფეროები ქვეყანაში დინამიურად განვითარებად სექტორებს წარმოადგენს. აღნიშნულ სფეროებში ყოველწლიურად იზრდება სამუშაო ადგილები და მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, ასევე მოთხოვნა ახალ პროფესიებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, მოაზრდოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უფრო მეტი კვალიფიციური სპეციალისტი.
- **დონორი ორგანიზაციების ინტერესი და თანამშრომლობის განვითარება.** ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი საერთაშორისო დონორთა მხრიდან. კოლეჯს გააჩნია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება. შესაბამისად, გეგმავს საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირებისა და საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერებით კიდევ უფრო ეფექტურად გამოიყენოს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა.
- **მეტი დამსაქმებლის /პარტნიორის მოძიება.** დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის. ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კოლეჯის იმიჯის განმტკიცებას.
- **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება (შემუშავება) და განხორციელება.** საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ და პროფესიული განათლების განვითარების მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარებისათვის და დანერგოს/განახორციელოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
- **სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვაში დამსაქმებლის აქტიური ჩართულობა.** პარტნიორი კერძო და სახელმწიფო კომპანიების მოტივაცია, ითანამშრომლონ პროფესიულ კოლეჯთან, მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისათვის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდისათვის და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვისათვის.

**საფრთხის შემცველი ფაქტორები:**

- **საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი.** სტუდენტთა ნაწილს, განსაკუთრებით, მესტიიდან მომორებული სოფლების მაგხოვრებლებს, უჭირთ კოლეჯში სიარულისათვის საჭირო ტრანსპორტის ხარჯების დაფარვა.
- **პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების მოტივაცია.** პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების და დამსაქმებლების არასაკმარისი მოტივაცია მნიშვნელოვნად ამცირებს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემაში და ხელი შეუწყონ განათლების სწორ განვითარებას.
- **სტუდენტთა ზოგადი განათლების დაბალი დონე.** კოლეჯის სტუდენტთა დიდ ნაწილს აქვს საბაზო ან ზოგადი განათლება. მიუხედავად ამისა, მათი ზოგადი განათლების დონე, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ დაბალია. რაც მნიშვნელოვნად ართულებს პროგრამებით გათვალისწინებული მასალის ათვისებას.
- **კოვიდ-19 ის გავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე და სასწავლო პროცესზე.** კოვიდ-19 გამოწვეული რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ახდენს ნეგატიურ გავლენას როგორც სასწავლო პროცესზე ასე ადგილობრივ ეკონომიკაზე (მაგალითად, ტურისტების რიცხვის შემცირება, დასაქმების გაუარესება და სხვა.)

### 3.2. ორგანიზაციის შეფასება (ძლიერი და სუსტი მხარე)

გარემოს ანალიზთან ერთად სტრატეგია ეყრდნობა ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას.

#### ძლიერი მხარე:

- **პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება.** კოლეჯი 2011 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და აქტიურად არის ჩართული შრომის ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესში.
- **გამოცდილი და მიზანმიმართული ადმინისტრაციული პერსონალი.** კოლეჯის დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლების უმეტესი ნაწილი არის უმაღლესი განათლებით და გააჩნია პროფესიულ განათლებაში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს მოახდინოს ეფექტური ადმინისტრირება.
- **კოლეჯის ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა.** კოლეჯს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა უკავია სვანეთის რეგიონში, მისადგომად მოსახერხებელია მესტიის სოფლების მოსახლეობისათვის, კოლეჯის სტუდენტთა უმრავლესობა აღნიშნული რაიონების წარმომადგენელია.
- **სწრაფვა მუდმივი განვითარებისთვის.** კოლეჯი მუდმივად ზრუნავს ადმინისტრაციის, პედაგოგების, სტუდენტების პროფესიულ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ტრენინგ-კურსებზე, ვორქშოფებზე, სემინარებზე მათი სისტემატიური დასწრება /მონაწილეობით.
- **საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური მოდელი.** საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაციისათვის კოლეჯი აქტიურად არის ჩართული როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში და პიარ კამპანიებში; აწყობს ღია კარის დღეებს და შეხვედრებს დამსაქმებლებთან, სკოლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან; აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს (ვებგვერდი, ფეისბუქი) მოსახლეობის ინფორმირებისათვის.
- **ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ხელშეწყობა.** ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობა ხელს უწყობს სსიპ პროფესიულ კოლეჯს „თეთნულდი“ განათლების სისტემის განვითარებაში. კერძოდ, ახდენს კოლეჯის ინფორმირებას და იწვევს მის წარმომადგენლებს სხვადასხვა ღონისძიებებში, ფესტივალებსა თუ ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად; სთავაზობს საწარმოო

პრაქტიკისა და დასაქმების ობიექტებს; ხელს უწყობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაახლოებაში.

- **მაღალ-კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი.** კოლეჯის ჩვიდმეტი პედაგოგიდან ექვსს გააჩნია-მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რვას-ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სამს მიღებული აქვს პროფესიული განათლება. ამათგან, უმეტესობას აქვს პროფესიულ განათლებაში მუშაობის მრავალწლიანი და პროფესიული საქმიანობის პრაქტიკული (დარგობრივი ცოდნა და უნარები) გამოცდილება. კოლეჯის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კუთხით მიღებული აქვთ მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.
- **კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესი.** კოლეჯის ადმინისტრაცია ზრუნავს სასწავლო პროცესის წარმატებულ და კარგად ორგანიზებულ გარემოზე. პედაგოგებს და სტუდენტებს უქმნის მათზე მორგებულ და გონივრულ სალექციო განრიგს, რაც დადებითად აისახება სტუდენტების ლექციებზე დასწრებასა და აკადემიურ მოსწრებაზე.
- **საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.** კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო; გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება; გაეროს განვითარების პროგრამა; ათასწლეულის გამოწვევის ფონდი და არის ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის LAG-ის წევრი.
- **დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამართული სქემები.** დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამართული სქემები (80%-ზე მეტი პარტნიორი კერძო და სახემლწიფო ორგანიზაცია) შესაძლებლობას უქმნის კოლეჯს გაზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და გააუმჯობესოს სერვისი.
- **კოლეჯის ადგილმდებარეობა.** კოლეჯი მდებარეობს სვანეთის რეგიონში, სადაც განვითარებულია ტურიზმი, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს დამსაქმებლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კვალიფიციური კადრი და ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას.
- **კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.** 2018 წლის ბოლოსათვის კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენდა 65%. მ.შ 16% თვითდასაქმებულია.

- **CISCO-ს აკადემიასთან თანამშრომლობა.** ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპტიმიზაციის საფუძველზე CISCO-ს აკადემიის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს პროფესიულ დიპლომთან ერთად მიიღოს ზემოთ აღნიშნული აკადემიის საერთაშორისო სერტიფიკატი.
- **ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა.** კოლეჯი აქვს საშუალება გაუწიოს მხარდაჭერა ინკლუზიურ განათლებას.
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.** კოლეჯი აღჭურვილია ყველა ავტორიზებული პროგრამის შესაბამისი მატერიალურ -ტექნიკური ბაზით.

### სუსტი მხარე:

- **ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რიგი პრობლემები.** დაუსრულებულია 2017-2018 წწ დაწყებული სახელოსნოებისა და ეზოს კეთილმოწყობა.
- **საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტების სიმცირე.** სვანეთის მუნიციპალიტეტში, მაღალმთიანი ზონის ეკონომიკური საქმიანობის თავისებურებების გამო, აღინიშნება რიგი მიზნის კომპანების და სხვა პრაქტიკის ობიექტების გარკვეული სიმცირე, რაც ართულებს საწარმოო პრაქტიკის გავლას.
- **სტუდენტური საერთო საგზოვრებელის არ ქონა.** კოლეჯს არ გააჩნია საერთო საგზოვრებელი. მუნიციპალური ტრანსპორტის არ არსებობის გამო, ეს გარემოება უარყოფიდად აისახება მუნიციპალიტეტიდან დაშორებული სოფლების ახალგაზრდებისთვის სწავლის ხელმისაწვდომობაზე.
- **კადრების დეფიციტი.** სვანეთის მუნიციპალიტეტიდან, ისევე როგორც სხვა მაღალმთიანი რეგიონებიდან, აღინიშნება კვალიფიცირებული კადრების მიგრაცია დიდ ქალაქებში, რაც ართულებს პროფესიული კადრების მოძიებას და ასევე სასწავლებლად წასული ახალგაზრდების უკან დაბრუნების პრობლემაც ქმნის კადრების დეფიციტს.

## N 2. გარემოსა და ორგანიზაციის ანალიზი

	პოზიტიური ფაქტორი	ნეგატიური ფაქტორი
ბაზა ფაქტორი	<p><b>შესაძლებლობა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.</li> <li>აკადემიური პერსონალის გადამზადება თანამედროვე სწავლების და ტექნოლოგიების მეთოდოლოგიის მიმართულებით.</li> <li>სტუდენტური ღონისძიებების მოწყობა.</li> <li>პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.</li> <li>შხარდი მოთხოვნები ტურიზმისა და IT მიმართულების სფეროებში.</li> <li>ღონიერი ორგანიზაციების ინტერესი და თანამშრომლობის განვითარება.</li> <li>მეტი დამსაქმებლის /მარტნიორის მოძიება.</li> <li>ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანატება (მეზუმეცება) და განხორციელება.</li> <li>სამუშაოზე დაქუენებული სწავლების მოდელის დანერგვაში დამსაქმებლის აქტიური ჩართულობა.</li> </ul>	<p><b>საფრთხე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>განათლების მაზარზე მუდმივად შხარდი კონკურენცია;</li> <li>საერთო სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი;</li> <li>პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების მოტივაცია;</li> <li>სტუდენტთა ზოგადი განათლების ამალი დონე.</li> <li>დამსაქმებლების ინერტულობა.</li> </ul>

**ძლიერი მხარე:**

- პროექტული ხაგანმანათლებლო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება.
- გამოცდილი და მიზანმიმართული ადმინისტრაციული პერსონალი.
- კოლეჯის ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა.
- სწრაფა მუდმივი განვითარებისთვის.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური მოდელი.
- ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ხელშეწყობა.
- მაღალ - კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი.
- კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესი.
- საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.
- დასაქმებულთან თანამშრომლობის გამართული სქემები.
- კოლეჯის ადგილმდებარეობა.
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.
- CISCO-ს აკადემიასთან თანამშრომლობა.
- ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

**სუსტი მხარე:**

- ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რიგი პრობლემები.
- საწარმოო პროექტის გაყვლის ობიექტების სიმცირე.
- სტუდენტური ხაერთი საცხოვრებელის არ ქონა.
- კადრების დეფიციტი.

### N 3. ინსტიტუციური გარემოს რუკა



სტრატეგიის დასაბუთება  
დაპროექტი 19 - 47 დან



## 4. საუმიანობის სტრატეგიული მიზართულებები

### 4.1. არსებული სასწავლო პროგრამების განხორციელება და ახალი პროგრამების განვითარება

#### სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე წარმოდგენილია:

- ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ მიიღონ პროფესიული განათლება;
- ზრდასრული მოსახლეობა, რომელსაც სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია და დაეუფლოს ახალ სპეციალობას დასაქმების ან თვით-დასაქმების მიზნით;
- დამსაქმებელი, რომელსაც სურს მოამზადოს და ან გადაამზადოს კადრები;
- სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები და დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ დასაქმებისა და თვით-დასაქმების ხელშეწყობას.

#### სტრატეგიული მიზანი

სტრატეგიული მიზანია: პროფესიული პროგრამების მუდმივი განვითარება ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის მსურველთა დაფარვისა და სწავლების ეფექტიანობის ზრდა.

#### წარმატების ინდიკატორები:

სტრატეგიული მიზნის შეფასების მაჩვენებლებია:

- 2020\_2027წწ კოლეჯი განახორციელებს სულ მცირე 15 გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
- 2020\_2027წწ გრძელვადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება 500-მდე.
- ყოველწლიურად პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებზე სწავლებას გაივლის დაახლოებით 700 მსმენელი (მათ შორის არა ნაკლებ 40% ქალი, სულ მცირე 2% შშმ და სსსმ პირები);
- 2020\_2027 კურსდამთავრებულთა წილი შეადგენს ჩარიცხული სტუდენტების და მსმენელების სულ მცირე 90%.

- სწავლის ხარისხით კმაყოფილების მაჩვენებელი სტუდენტებისა და მსმენელების რიცხვი შეადგენს სულ მცირე 80%.

### ძირითადი ღონისძიებები

#### 1. არსებული პროგრამების განხორციელება.

პროფესიული სასწავლებელი ახორციელებს შემდეგ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს:

- **ინფორმაციული ტექნოლოგიები.** პროგრამის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრის - პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს;
- **ელექტრობა.** პროგრამის მიზანია დაბალი ძაბვის ელექტრობაში შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. რომელსაც შეეძლება: ელექტრობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების სამუალებების გამოყენება; დამონტაჟება და შემოწმება ელექტრული წრედების საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში; საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში ელექტრული წრედების დამონტაჟება, შემოწმება და განათება; საინჟინრო ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
- **სასტუმრო მომსახურება.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს სასტუმრო მომსახურების სპეციალისტებს.
- **ბუღალტრული აღრიცხვა.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ

კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

## 2. ახალი პროგრამების განვითარება.

კოლეჯი გეგმავს შემდეგი პროგრამების განვითარებას:

- **საოფისე საქმე.** საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციურ ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალის მომზადება, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვასა, მართვას და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას.
- **კომპიუტერული ქსელი და სისტემები.** კომპიუტერულ ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს;
- **კულინარიის ხელოვნება.** პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადოს საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სასტუმროსა და რესტორნის სამზარეულოში მუშაობას კვების ჰიგიენის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.
- **კონდიტერი.** პროგრამის მიზანია მოამზადოს კონდიტერის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა სახის საკონდიტრო ნაწარმის მომზადებას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.
- **სატყეო საქმე.** სატყეო საქმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი უნარ-ჩვევებით და უსაფრთხოდ განახორციელებს ტყეში სატყეო სამუშაოებს, მათ შორის: ხე-ტყის დამზადებას, ტყის აღდგენის ღონისძიებებს (თესლის შეგროვება, თესვა, დარგვა, სანერგის მოწყობა და სხვა). განახორციელებს ხე-ტყის

დახარისხებას, უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვასა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

- **სამკერვალო საქმე.** სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სამკერვალო წარმოება უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. სპეციალისტი შეძლებს, ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას, ასევე, ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულებას და დეკორატიულ გაფორმებას, ტანსაცმლის შეკეთებას, გადაკეთებას და აღდგენას, საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი დანადგარების შერჩევა/გამოყენებას და სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლს.

#### N 4. არსებული და ახალი პროგრამები

არსებული პროფესიულ-საბანაანათმეგლო პროგრამები	ახალი პროფესიულ-საბანაანათმეგლო პროგრამები
<ul style="list-style-type: none"><li>• ინფორმაციული ტექნოლოგიები;</li><li>• ელექტრობა;</li><li>• ხასტური საქმე;</li><li>• მულტიტრული აღრიცხვა.</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• კომპიუტერული ქსელი და სისტემები;</li><li>• საოფისე საქმე;</li><li>• კულინარიის ხელოვნება;</li><li>• კონდიტერია;</li><li>• სატელი საქმე;</li><li>• სამკრეალო საქმე.</li></ul>

## 4.2. სტუდენტებისა და მსმენელისთვის დაინტერესება და მოზიდვა

### სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

სტრატეგიული მიმართულება 4.1 -ის მსგავსად სამიზნე ჯგუფი წარმოდგენილია:

- ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ მიიღონ პროფესიული განათლება;
- ზრდასრული მოსახლეობა, რომელსაც სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია და დაეუფლოს ახალ სპეციალობას დასაქმების ან თვით-დასაქმების მიზნით;
- დამსაქმებელი, რომელსაც სურს მოამზადოს და /ან გადაამზადოს კადრები;
- სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ბენეფიციარები.

### სტრატეგიული მიზანი

- კოლეჯს გააჩნია პოზიციონირებისა და კომუნიკაციის ინტეგრირებული სტრატეგია
- კოლეჯი სარგებლობს სანდო დაწესებულების რეპუტაციით და მაღალი ცნობადობით

### წარმატების ინდიკატორები

- 2020\_2027წწ კოლეჯის ცნობადობა სამიზნე ჯგუფში მიაღწევს 80-90 %;
- 2020\_2027 წწ კოლეჯში სწავლის მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება.

### ძირითადი ღონისძიებები:

#### 1. კომუნიკაციის სტრატეგიის განსაზღვრა.

განისაზღვროს კოლეჯის პოზიციონირება და შემუშავდეს კომუნიკაციის ინტეგრირებული სტრატეგია, რომელიც მოიცავს საზოგადოებასთან ურთერთობის გეგმას, დადგინდეს მისი მიზნები, მეთოდები და საშუალებები.

#### 2. პირდაპირი კომუნიკაცია

კოლეჯი აწარმოებს პირისპირ შეხვედრებს პროფ-განათლების პოპულარიზაციის მიზნით:

- რჩება პროფესიული უნარების განვითარების ქვე-პროგრამის პროვაიდერი 7 სკოლაში და გეგმავს განახორციელოს იგი სულ მცირე კიდევ 5 სკოლაში;
- მოხალისეთა მობილიზაციის გზით ყოველწლიურად გეგმავს გასვლით შეხვედრებსა და პრეზენტაციებს მუნიციპალიტეტის სკოლების სულ მცირე 80%-ში;

- გეგმავს 15 გასვლით შეხვედრას მოსახლეობასთან ყოველწლიურად;
- დამსაქმებელთან სისტემატიურ შეხვედრებს სოციალური პარტნიორობის გაძლიერების მიზნით.

### 3. საჯარო ღონისძიებების ორგანიზება

სტუდენტთა /მსმენელთა მოზიდვის მიზნით კოლეჯი გეგმავს ყოველწლიურად სულ მცირე 5-6 საჯარო ღონისძიებას (მაგალითად, ღია კარის დღე, სტუდენტური ფესტივალი, თუ სხვა) ორგანიზებას, ასევე მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში (მაგალითად, დარგობრივი გამოფენები, კონფერენციები და სემინარები თუ სხვა).

### 4. კომუნიკაცია ინფორმაციის მასობრივი საშუალებების გამოყენებით

კოლეჯი გეგმავს გამოიყენოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (რადიო, ტელევიზია, ბეჭდური მედია) მოსახლეობის ინფორმირებისა და სტუდენტთა მოზიდვისათვის. ამისათვის იგი მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა თემატურ სატელევიზიო გადაცემებში პროფესიული განათლების საკითხებზე, ეცდება ამ გადაცემებში ჩართოს პოტენციური დამსაქმებელიც. ამასთან კოლეჯი გეგმავს მუშობას მედიასთან პროფგანათლების საკითხებზე.

### 5. კომუნიკაცია სოციალური მედიის მეშვეობით

კოლეჯი გეგმავს აქტიურად გამოიყენოს სოციალური მედია მათ შორის კურსდამთავრებულთა ალუმნი და პედაგოგები. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მოსახლეობისათვის წარამტებული კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და დუალური პროგრამის ინსტრუქტორების საქმიანობის გაცნობა.

### 6. რეგულარული კავშირი ხელისუფლებასთან

კოლეჯი აგრძელებს სისტემატიურ ურთიერთობას საქართველოს მაკონტროლებელ ორგანოებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

### 7. რეგულარული კავშირი სამოქალაქო სექტორთან

კოლეჯი აგრძელებს სისტემატიურ ურთიერთობას სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

### 4.3. კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა

#### სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

- პოტენციური დამსაქმებელი - სხვადასხვა დარგის (მაგალითად, სამშენებლო, ტურიზმი, მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა თუ სხვა) კომპანიები;
- მოდულური და დუალური პროგრამების, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსდამთავრებულები.

#### სტრატეგიული მიზანი

სტრატეგიული მიზანია გაიზარდოს დასაქმების სერვისის ეფექტიანობა და კვალიფიციური კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

#### წარმატების ინდიკატორები

- ყოველწლიურად დასაქმებისა და თვითდასაქმების საშუალო მაჩვენებელი არჩეული პროფესიის მიხედვით სეზონურ სამუშაოზე იზრდება საშუალოდ 7-8% და მუდმივ სამუშაოზე სულ მცირე 2% -ით.
- კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია (სამიზნე განისაზღვრება 3 წლის შემდეგ საწყისი მაჩვენებლის მიხედვით).

#### ბირითადი ღონისძიებები

კოლეჯი აცნობიერებს კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის მნიშვნელობას და გეგმავს კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით რიგ ღონისძიებებს:

##### 1. კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ინფორმირება

კოლეჯი სისტემატიურად აწვდის სტუდენტს ინფორმაციას ვაკანსიის თაობაზე და ამ მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ბაზარზე არსებულ დამსაქმებლებთან.

##### 2. კურსდამთავრებულთა ელექტრონული ბაზის შექმნა

დაგეგმილია კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ელექტრონული ბაზის შექმნა, სადაც წარმოდგენილი იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულთა რეზიუმე. ბაზა ხელმისაწვდომი იქნება დამსაქმებლისათვის და ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის დასაქმებას.

### **3. დამსაქმებელთა ჩართულობა სწავლების პროცესში**

ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულებით იგეგმება დუალური პროგრამების განხორციელების პროცესი და ამ მიმართულებით პარტნიორთა არეალის გაფართოება. ასევე მოხდება დამსაქმებელთა ჩართვა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და ან დანერგვის პროცესში. ამგვარი თანამშრომლობა ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

### **4. კურსდამთავრებულთა დასაქმების ფორუმი**

სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობასთან ერთად, კოლეჯი გეგმავს ყოველი გამოშვების ბოლოს მოაწვოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ფორუმი (fair - ბაზრობა), სადაც კურსდამთავრებულებს მიეცემათ საშუალება წარუდგინონ თავი და საკუთარი ნამუშევრები პოტენციურ დამსაქმებელს.

### **5. ალუმნის ხელშეწყობა**

კოლეჯი გეგმავს გააძლიეროს ალუმნი და ხელი შეუწყოს მის საქმიანობა, მათ შორის სოციალური მედიის მეშვეობით (მაგალითად, LinkedIn -ის გამოყენებით).

### **6. თანამშრომლობა დასაქმების სააგენტოსთან**

კოლეჯი ხელს შეუწყობს სტუდენტს დარეგისტრირდეს დასაქმების სააგენტოს ბაზაში.

### **7. სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება**

კოლეჯი გეგმავს სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას (სამეწარმეო ინიციატივა, საკუთარი თავის პრეზენტაცია და სხვა მსგავსი) .

#### 4.4. მართვის, ადამიანური კაპიტალისა და ფიზიკური რესურსების განვითარება

##### სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

- კოლეჯის პროფესიული სტუდენტი და მსმენელი (მათ შორის სსსმ და შშმ პირები);
- პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია;
- დუალური პროგრამის ინსტრუქტორები.

##### სტრატეგიული მიზნები

სასწავლო პროცესს წარმართავენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები და დუალური განათლების პროგრამების ინსტრუქტორები.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ, ადაპტირებულ სასწავლო გარემოში და უზრუნველყოფილია სათანადო სასწავლო რესურსებით

შექმნილია კომფორტული გარემო სწავლისა და პიროვნული განვითარებისათვის.

კოლეჯის მართვის სისტემა არის მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის საგანი, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს.

##### წარმატების ინდიკატორები

- 2020 წლის ბოლოს კოლეჯს გააჩნია შესაბამისად აღჭურვილი ახალი შენობა გათვლილი სულ მცირე 180 სტუდენტზე ერთ ცვლაში.
- ყოველწლიურად ყველა თანამშრომელი (ადმინისტრაცია, პედაგოგი და ინსტრუქტორი) გადის კვალიფიკაციის ამაღლების სულ მცირე 1 კურსს;
- ყველა ინსტრუქტორი გაივლის გადამზადებას სწავლების მეთოდოლოგიაში;
- 2026 წლისათვის კოლეჯი სერტიფიცირებულია ISO 9001-2015 ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;
- მასწავლებლების შრომითი კმაყოფილების მაჩვენებელი არა ნაკლებ 90%;
- სტუდენტების კმაყოფილება სასწავლო გარემოთი 80%.

## ძირითადი ღონისძიებები

### 1. ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

კოლეჯი „თეთნულდი“ მდებარეობს ქ. მესტიაში ერეკლე ფარჯიანის ქN25, უვადო სარგებლობის უფლებით ფლობს 1252 კვ.მ ფართს (ორსართულიანი შენობა). აღნიშნულ ფართზე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა, სადურგლო სახელოსნო, დეკორატიული გამოყენებითი ქსოვილების კაბინეტი, გიდის კაბინეტი სრული აღჭურვიტ, სარესტორნო საქმის ლაბორატორია, მიღება-განთავსების ლაბორატორია, დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის ლაბორატორია, ზულალტერ-ტექნიკოსის კაბინეტი, სასწავლო სამზარეულოს ლაბორატორია, ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია, ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით. შექმნილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი გარემო: ელექტრო ენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, შექმნილია ადაპტირებული გარემო, ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათების შესაძლებლობით, დაწესებულება უზრუნველყოფილია გათბობის ცენტრალური სისტემით.

### 2. ადამიანური რესურსის განვითარება

ადამიანური რესურსის განვითარების მხრივ ახალი გამოწვევების შესაბამისად მოხდება აკადემიური და ტექნიკური პერსონალის გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება.

### 3. სასწავლო რესურსების განვითარება

წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება და შევსება, ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პროგრამების შესაბამისად სასწავლო მასალით უწყვეტი მომარაგების სისტემის გამართვა, სასწავლო ექსპედიციების ორგანიზება.

### 4. მართვის სისტემები და ხარისხის მართვა

ფონდების მოძიება-მოზიდვის კომპეტენციის განვითარება, პერსონალის სამუშაო აღწერილობების გადახედვა და გაუმჯობესება, პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის ამოქმედება, მართვისა და ადმინისტრაციული პროცედურების შემდგომი სრულყოფა.

**5. სტუდენტური ცხოვრებისა და სასწავლო პირობების გაუმჯობესება**

სტუდენტებისათვის სოციალური აქტივობისა და რეკრეაციის ადგილების გამოყოფა და კეთილმოწყობა, სტუდენტების წახალისების ახალი მექანიზმების ამოქმედება (მაგალითად, წარჩინებულ სტუდენტთა დაფა თუ სხვა), სტუდენტთა ინფორმირების სისტემის მუდმივი სრულყოფა, დუალური პროგრამის სტუდენტის საწარმოო ტრავმის საგანზე დაზღვევის უზრუნველყოფა, სასწავლო-პრაქტიკული შიდა და გასვლითი კონფერენციების ორგანიზება, ადგილობრივი და გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება.

**6. ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის მოდერნიზაციისათვის**

ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ჩნდება მრავალი შესაძლებლობა დაინერგოს სწავლების ახლებური მიდგომები და ფორმები, მათ შორის დისტანციური და კომბინირებული სწავლება. ეს გაზრდიდა სამიზნე აუდიტორიის დაფარვას, დადებითად აისახებოდა სწავლების ეფექტურობასა და რენტაბელურობაზე. კოლეჯი ადევნებს თვალყურს სიახლეებს ამ მიმართულებით და სწავლობს მათი დანერგვის შესაძლებლობებს.



## 5. სამოქმედო გეგმა

### 5.1. 2021 წლის ღონისძიებები


N	აღწერა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1.	<b>არსებული სასწავლო პროგრამების განხორციელება და ახალი პროგრამების განვითარება</b>												
1.1.	<b>არსებული პროგრამების განხორციელება.</b>												
1.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიები:												
1.1.2.	აღადგენიანობა:												
1.1.3.	სასტუმრო საქმე:												
1.1.4.	ბუღალტრული აღრიცხვა:												
1.2.	<b>ახალი პროგრამების განვითარება.</b>												
1.2.1.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები:												
1.2.2.	საივნივ საქმე:												

N	უძნებრა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI
12.3.	კულტურის ხელშეწყობა											
12.4.	კონცერტები											
12.5.	საბავი სემინარები											
12.6.	სამკერძო სემინარები											

N	აღწერა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI
2.	სტრუქტურებისა და მსმენელისა და დაინტერესება და მოზიდვა											
2.1.	კომუნიკაციის სტრატეგიის განსაზღვრა.											
2.2.	პირდაპირი კომუნიკაცია											
2.3.	საჯარო დონისპიუბლიკის ორგანიზება											
2.4.	კომუნიკაცია ინფორმაციის მასობრივი საშუალებების გამოყენებით											
2.5.	კომუნიკაცია სოციალური მედიის მეშვეობით											
2.6.	რეგულარული კავშირი ხელისუფლებასთან											
2.7.	რეგულარული კავშირი საზოგადოებრივ სექტორთან											

N	აღწერა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI
3.	კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა											
3.1.	კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ინფორმირება											
3.2.	კურსდამთავრებულთა ელექტრონული ჩაზის შექმნა											
3.3.	დასაქმებულთა ჩართულობა სწავლების პროცესში											
3.4.	კურსდამთავრებულთა დასაქმების ფორუმი											
3.5.	აღუბნის ხელშეწყობა											
3.6.	თანამშრომლობა დასაქმების სააგენტოსთან											
3.7.	სამწესრიგო უნარ-ჩვევების განვითარება											

N	უძველესი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI
4	მართვის, ადამიანური კაპიტალისა და ფიზიკური რესურსების განვითარება											
4.1	ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა											
4.2	ადამიანური რესურსის განვითარება											
4.3	სასწავლო რესურსების განვითარება											
4.4	მართვის სისტემები და ხარისხის მართვა											
4.5	სტრუქტურული ცხოვრებისა და სასწავლო პირობების გაუმჯობესება											
4.6	ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესის მოდერნიზაცია											



## 6. დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცედურა

### 6.1. პროცედურის მოქმედების არე

პროცედურა ფარავს გაწეული სამუშაოების შეფასებას, სტრატეგიის გადახედვას, შესაბამის ცვლილებებსა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას

### 6.2. პროცედურის მიზანი

პროცედურის მიზანია უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის თანმიმდევრული დაგეგმვა, სადაც რეგულარულად ხდება გრძელვადიანი გეგმის განახლება საქმიანობის ყოველწლიური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით და მომდევნო პერიოდის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

### 6.3. ძირითადი ნაბიჯები და გადაწყვეტილებები

დაგეგმვა და მონიტორინგი წარმოადგენს სტანდარტულ საოპერაციო პროცედურას და შედგება შემდეგი ნაბიჯებისაგან (იხილეთ დიაგრამა N 5. განხორციელების რუკა):


- 1. წინა პერიოდში გაწეული სამუშაოს შეფასება.** ყოველი წლის ბოლო თვეში ხორციელდება გაწეული სამუშაოს შეფასება. ამისათვის ხდება ფაქტობრივი მონაცემების შედარება სამიზნე მონაცემებთან. მონიტორინგის შედეგად ხდება ფაქტობრივი მონაცემების შესრულების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შეფასების შედეგები აისახება „წლიურ ანგარიშში“, რომელსაც დირექტორი წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.
- 2. სტრატეგიის გადახედვა.** ყოველი წლის ბოლო თვეს, ანგარიშის გაცნობის შემდეგ, იმართება სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობს კოლეჯის ადმინისტრაცია და სხვა პერსონალი. შეხვედრის დროს ხდება არსებული სტრატეგიის გადახედვა, მსჯელობა გადახრის მიზეზებზე, განიხილება შესაბამისი ცვლილებები. საბოლოო გადაწყვეტილება სტრატეგიის განახლებაზე ეკუთვნის დირექტორს.
- 3. სამოქმედო გეგმის შემუშავება.** ყოველი წლის ბოლოს, სტრატეგიის გადახედვის და განახლების შემდეგ, ხდება მომდევნო წლის „სამოქმედო გეგმის“ ფორმულირება. განისაზღვრება ძირითადი ღონისძიებები, ვადები და პასუხისმგებლობა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში: არიან დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და ა.შ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორის მოადგილე.

4. **სამოქმედო გეგმის დამტკიცება.** სამოქმედო გეგმას ამტკიცებს დირექტორი. დირექტორი სამოქმედო გეგმას ამტკიცებს წლის ბოლომდე.
5. **ბიუჯეტის შემუშავება.** სამოქმედო გეგმის საფუძველზე მთავარი ბუღალტერი შეიმუშავებს მომდევნო წლის ბიუჯეტს. ბიუჯეტს განიხილავს და ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

#### 6.4. დოკუმენტაცია

- გაწეული საქმიანობის ანგარიში
- კოლეჯის სტრატეგია
- სამოქმედო გეგმა
- ბიუჯეტი

### N 5. განხორციელების რუკა



### 6.5. მონიტორინგის სისტემა

მონიტორინგის ხარისხი	მონიტორინგის მაჩვენებელი	პასუხისმგებელი
<b>სტრატეგია: არსებული სასწავლო პროგრამების განხორციელება და ახალი პროგრამების განვითარება</b>		
<b>სტრატეგიული მიზანი:</b> პროექტული პროგრამების მეშვეობით განვითარება ბავშვის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის მშრველთა დაფარვისა და სწავლების ეფექტიანობის ზრდა.		
2020-2027 წ. კოლეჯი განახორციელებს სულ მცირე 15 გრძელვადიან პროექტულ საგანმანათლებლო პროგრამას;	აკრედიტაცია, შიდა დოკუმენტაცია და სასწავლო პროცესის მონიტორინგი	კოლეჯის ადმინისტრაცია
2020-2027 წ. გრძელვადიანი პროექტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება 500-მდე.	შიდა დოკუმენტაცია და სასწავლო პროცესის მონიტორინგი	კოლეჯის ადმინისტრაცია
ყოველწლიურად პროექტული მიზნადგენა-გადამზადების პროგრამებზე სწავლებას გაივლის დაახლოებით 700 მსმენელი (მათ შორის არა ნაკლებ 40% ქალი, სულ მცირე 2% მშპ და სსმ პირები).	შიდა დოკუმენტაცია და სასწავლო პროცესის მონიტორინგი	კოლეჯის ადმინისტრაცია
2020-2027 კურსდამთავრებულთა წილი შეადგენს ჩარიცხული სტუდენტების და მსმენელების სულ მცირე 90%.	აკადემიური მიმწერების მანეჯმენტი და სასწავლო პროცესის მონიტორინგი	კოლეჯის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი
სწავლის ხარისხით კმაყოფილების მანეჯმენტი სტუდენტებისა და მსმენელების რიცხვი შეადგენს სულ მცირე 80%.	სტუდენტთა კმაყოფილების მანეჯმენტი	კოლეჯის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი

მონიტორინგის სფერო	მონაბედა მხარე	პასუხისმგებლობა
<b>სტუდენტებისა და მსწავლის მის დაინტერესება და მიზიდვა</b>		
სტრატეგიული მიზნები: „კოლეჯს გააჩნია პოზიტივიზაცია და კომუნიკაციის ინტეგრირებული სტრატეგია“; „კოლეჯი სარგებლობს სანდო დაწესებულების რეპუტაციით და მაღალი ცნობადობით“		
2020_2027 წ. კოლეჯის ცნობადობა სამიზნე ადგილზე მადღებს 80-90 %	სამიზნე აუდიტორიის გამოკითხვა	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პასუხისმგებელი პირი
2020_2027 წ. კოლეჯში სწავლის მსურველია რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდება.	სამიზნე აუდიტორიის გამოკითხვა	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პასუხისმგებელი პირი
<b>კურსდამთავრებული კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა</b>		
<b>სტრატეგიული მიზანი:</b> გაიზარდოს დასაქმების სფეროს ეფექტიანობა და კვალიფიკაციის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.		
ყოველწლიურად დასაქმებისა და თვითდასაქმების საშუალო მაჩვენებელი არჩეული პროფესიის მიხედვით სეზონურ სამუშაოზე იზრდება საშუალოდ 7-8% და მუდმივ სამუშაოზე სულ მცირე 2% -ით.	კურსდამთავრებული კითხვა	სტუდენტთა დასაქმებაზე პასუხისმგებელი პირი
კურსდამთავრებული კარიერული ზრდის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია (სამიზნე განისაზღვრება 3 წლის მუდმივ სამუშაო მაჩვენებლის მიხედვით)	კურსდამთავრებული კითხვა	სტუდენტთა დასაქმებაზე პასუხისმგებელი პირი

მონიტორინგის სფერო	მონაბედა მხარე	პასუხისმგებელი
<b>მართვის, ადმინისტრაციული კაპიტალისა და ფინანსური რესურსების განვითარება</b>		
<b>სტრატეგიული მიზნები:</b> „სახსნაველი პროექტის წარმართავენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები და დუალური განათლების პროგრამების ინსტრუქტორები“; „სახსნაველი პროექტის მიმდინარეობის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ, ადაპტირებულ სასწავლო გარემოში და უზრუნველყოფილი ხათანადი სასწავლო რესურსებით“; „მეშვილია კომფორტული გარემო სწავლისა და პროფესიული განვითარებისათვის“; „კოლეჯის მართვის სისტემა არის მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის საგანი, მეტაბაბემა საერთაშორისო სტანდარტს.“		
2020 წლის ბოლოს კოლეჯს გააჩნია შესაბამისად აღჭურვილი ასალი წესობა გათვლილი სულ მცირე 180 სტუდენტზე ერთ ცვლაში.	ტექნიკური დოკუმენტაცია	კოლეჯის ადმინისტრაცია
ყოველწლიურად ცვლა თანამშრომელი (ადმინისტრაცია, პედაგოგი და ინსტრუქტორი) გადის კვალიფიკაციის ამაღლების სულ მცირე 1 კურსს;	ადმინისტრაციული რესურსების მართვის ამახველი დოკუმენტაცია	ადმინისტრაციული რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი
ცვლა ინსტრუქტორი გაივლის გადასწავლებას სწავლების მეთოდილოგიაში;	ადმინისტრაციული რესურსების მართვის ამახველი დოკუმენტაცია	ადმინისტრაციული რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი
2026 წლისათვის კოლეჯი სერტიფიცირებულია ISO 9001-2015 ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;	ISO 9001-2015 სერტიფიცირების მოქმემა	კოლეჯის ადმინისტრაცია
მასწავლებლების შრომითი კვალიფიკაციის მანველებელი არა ნაკლებ 90%;	ადმინისტრაციული რესურსების მართვის ამახველი დოკუმენტაცია	ადმინისტრაციული რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი
სტუდენტების კვალიფიკაცია სასწავლო გარემოში 80%.	სტუდენტთა კვალიფიკაციის მანველებელი	კოლეჯის ადმინისტრაცია

## 7. დანართი

დოკუმენტში დიაგრამებისა და ცხრილების სახით, მოცემულია შემდეგი თვალსაჩინო მასალა:

N 1. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები .....	8
N 2. გარემოსა და ორგანიზაციის ანალიზი.....	17
N 3. ინსტიტუციური გარემოს რუკა .....	19
N 4. არსებული და ახალი პროგრამები .....	25
N 5. განხორციელების რუკა.....	42



საქართველო, მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქ. № 25

577582424/595277667

tetnaldi68@gmail.com

N	სტრატეგიული მიზანი	ამოცანები	აქტივობები	განხორციელების ვადები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	საქმიანო რესურსები
				2020	2021	2022	2023	2024	2025	2026			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	არსებული სასწავლო პროგრამების განხორციელება და ახალი პროგრამების განვითარება	ბროშის ბაზრის მოკლევადი	გამოკითხვა (ნახელმწიფო და კერძო სტუდენტები, სოც. მედია, ინტერვიუ...)								კვლევის შედეგების ანალიზი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაკავშირების მენეჯერი	ადამიანური რესურსი
			კურსდამთავრებულთა გამოკითხვა									კვლევის შედეგების ანალიზი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაკავშირების მენეჯერი
		არსებული და ახალი წარმო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლებების მოპოვება										საკანონმდებლო პროგრამის ავტორიზაცია	დირექტორი, ადმინისტრაცია
2	პროფესიული	პროფესიული სტუდენტების ინტერესების კვლევა	არსებული და ახალი წარმო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი								სასწავლო პროცესზე დანერგვის ანგარიშები	ხარისხის წართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			პროფესიული სტუდენტების ინტერესების კვლევის შედეგების									გამოკითხვა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაკავშირების მენეჯერი
			კვლევის შედეგების								ლონისივები/	პროფორიენტაციისა და	ადამიანური და

<b>სტუდენტები სა და მშენებლის დაინტერესე ბა და მონხფა</b>	სტუდენტების ნართულობის გამრფა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში	გათვალისწინებით, აქტივობების დაგეგმვა/განხორცილე ბა						აქტივობები	კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.	ფინანსური რესურსი
		ადგილობრივი თვითმართველობების შეერთანობებზე ლონისძიებებში მონაწილეობა						ლონისძიებები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. სამოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამაწერი რესურსი
	პროფორიენტაცი ის ლონისძიებების ორგანიზება	ვიზიტები სოციალგანმანათლებ ლო დანეშებულებებში/ "ღია კარის" დღეების ორგანიზება კოლეჯში						ანგარიში	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. სამოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამაწერი და ფინანსური რესურსი
		სოციალური ქსელებით რეკლამირების ნარმოება						ანგარიში / კვლევა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. სამოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამაწერი და ფინანსური რესურსი
	პროფესიული განათლების ფუნქციონირების ორგანიზება/ მონაწილეობის მიღება							ლონისძიება	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. სამოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამაწერი და ფინანსური რესურსი
	სარეკლამო ბროშურების გაშროვლება							ბროშურა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. სამოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამაწერი და ფინანსური რესურსი
<b>კერხამთაე</b>	კერხამთაეზე ღია ნართუა კოლეჯის სოციალურიმთაე	კოლეჯის კერხამთაეზეღელების მონაწილეობა "ღია კარის დღეებში".						"ღია კარის დღე", ლონისძიება, ფორუმი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. სამოგადოებასთან	ადამაწერი და ფინანსური რესურსი

3	რეგულითა კარიერული წრდისა და დასაქმების ხელშეწყობა	ი	დასაქმების ფორუმების ორგანიზება								ურიფორმობების მენეჯერი		
		კურდაშთაფრებელთა დასაქმების კვებით გატარებული ღონისძიებები	კურდაშთაფრებელთა და სტუდენტთა ინფორმირება ვაკანტურ ადგილებზე							სატელეფონო ხაზბრები, ონლაინ შეხვედრები	პროფორინტაცისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სამოგაფოებასთან ურთიფორმობების მენეჯერი	აღაშთაშური რესურსი	
		დასაქმებულთა წართულობა სწავლების პროცესში	კურდაშთაფრებელთა დასაქმების ფორუმები							რეზიუმე/ვებს გვერდი	პროფორინტაცისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სამოგაფოებასთან ურთიფორმობების მენეჯერი	აღაშთაშური და ფინანსური რესურსი	
			თანაშრომლობა დასაქმებულთან							ფორუმი	პროფორინტაცისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	აღაშთაშური რესურსი	
			დასაქმებულთა წართულობა სწავლების პროცესში							ღია კარის დღე/ ვიზიტები	პროფორინტაცისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სამოგაფოებასთან ურთიფორმობების მენეჯერი	აღაშთაშური და ფინანსური რესურსი	
										ვიზიტები	პროფორინტაცისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სამოგაფოებასთან ურთიფორმობების მენეჯერი	აღაშთაშური რესურსი	
4	შართებისა და აღაშთაშური რესურსის განუითარება	აღმშინსტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების სატაროებათა ანალიზი	აღმშინსტრაციის წვერების გამოკითხვა							გამოკითხვა	ხარისხის წართვის მენეჯერი	აღაშთაშური რესურსი	
			პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოკითხვა								გამოკითხვა	ხარისხის წართვის მენეჯერი	აღაშთაშური რესურსი
			კულუვის მუდგეგების ანალიზი								გამოკითხვა/ მუდგეგები	ხარისხის წართვის მენეჯერი	აღაშთაშური რესურსი
		კულუვის მუდგეგების გათვალისწინებით პროფესიული განუითარებაზე ზრუნვა	ტრენინგის დაგეგმვა								ტრენინგის გეგმა	სასწავლო პროცესის მენეჯერი,	აღაშთაშური რესურსი
			ტრენინგის წატარება/ მონაფორინტაჟი								ტრენინგის მონაფორინტაჟის ანგარიში	სასწავლო პროცესის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი	აღაშთაშური და ფინანსური რესურსი

